სახელმწიფო შესყიდვების
ხელშეკრულება №50-080121-01

ქ. თბილისი **8 იანვარი, 2021 წ.**

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში, ომარ ოგბაიძის სახით, და
მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ოთარ გვრიტიშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2020 წლის 30 დეკემბერს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა“ (შემსყიდველი) და ფიზიკურ პირ ოთარ გვრიტიშვილს (მიმწოდებელი) შორის გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის №50-301220-01 ხელშეკრულება (CMR200155827), რომელიც ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის კუთვნილი დიზელ-გენერატორის “Wilson GCB330” (სერია “PERKINS 1300, P250H FG Wilson”) ტექნიკური მომსახურების განხორციელებას. მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულების განხორციელების შედეგად, კერძოდ კი ხსენებული დიზელ-გენერატორის სრული შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მწყობრიდან არის გამოსული დიზელ-გენერატორის ელექტრო-პლასტიკური შემათბობელი ტენი (APH-500W), რომელიც უზრუნველყოფს ძრავის ზეთისა და წყლის მუდმივ მუშა ტემპერატურის შენარჩუნებას. გამომდინარე იქიდან, რომ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის №50-301220-01 ხელშეკრულება არ ითვალისწინებს დიზელ-გენერატორის მწყობრიდან გამოსული ელექტრო-პლასტიკური შემათბობელი ტენის (APH-500W) შეკეთებას, რაც თავის მხრივ აუცილებელია დიზელ-გენერატორის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის და შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველის ადმინისტრაციული შენობის უწყვეტი და უსაფრთხო ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ხსენებული დიზელ-გენერატორის მუდმივად მწყობრში ყოფნა, განსაკუთრებით მიმდინარე ზამთრის პერიოდში, ყოველივე ზემოზაღნიშნულიდან გამომდინარე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის კუთვნილი დიზელ-გენერატორის “Wilson GCB330” (სერია “PERKINS 1300, P250H FG Wilson”) ელექტრო-პლასტიკური შემათბობელი ტენის (APH-500W) შეკეთების მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV50532300).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.
2.2.შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;
2.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია, გაუწიოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია;

3. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება სრულად განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3.2 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების განხორციელებისას აუცილებელი გახდა რაიმე ნაწილ(ებ)ის შეცვლა, რომელიც საჭიროა დიზელ-გენერატორის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, მიმწოდებელმა შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა განახორციელოს ასეთი ნაწილ(ებ)ის შეცვლა ახალი და ხარისხიანი ნაწილ(ებ)ით, რომელიც/რომლებიც თავის მხრივ, ხარსიხობრივი თვალსაზრისით უნდა აკმაყოფილებდეს დიზელ-გენერატორის მწარმოებლის სტანდარტებსა და ნორმებს.
3.3 მომსახურების გაწევის ადგილი: შემსყიდველის ტერიტორია, ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;
3.4 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე, ან/და შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული იმ მომსახურების მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს. მიმწოდებელის მიერ მომსახურების გაწევისას გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი, ხარისხიანი ნაწილ(ებ)ი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომლებიც თავის მხრივ, ხარსიხობრივი თვალსაზრისით უნდა აკმაყოფილებდეს დიზელ-გენერატორის მწარმოებლის სტანდარტებს და ნორმებს.

4.2. მიმწოდებლის გარანტია გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ნაწილ(ებ)ზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.

4.3 დიზელ-გენერატორის ელექტრო-პლასტიკური შემათბობელი ტენის (APH-500W) შეკეთება ნიშნავს იმას, რომ სრულად უნდა იქნას აღდგენილი მისი ფუნქციები; გარანტიის პირობები ასევე ითვალისწინებს შესაკეთებელი ნაწილის ჩანაცვლებას ახლით, თუ დადგინდება, რომ მისი შეკეთება შეუძლებელია.

4.4 თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა) საკუთარი ხარჯით გამოასწოროს დეფექტი. განსაკუთრებული დაზიანების შემთხვევაში ან ნაწილის ადგილზე არქონის შემთხვევაში, დეფექტის გამოსწორების ვადა დამატებით თანხმდება მხარეთა შორის (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს).

5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება

5.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500,00 (ხუთასი) ლარს. აღნიშნული ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის გაწევასთან და ნაწილ(ებ)ის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) შეძენასთან. აღნიშნული ღირებულება ასევე მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს, საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ჩათვლით.

5.2 საგადასახადო აგენტის ფუნქციის განხორციელებას და ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

5.3 მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ უფლებამოსილი პირები; ამასთანავე, მიღება-ჩაბარების აქტი შედგება მას შემდეგ, რაც დიზელ-გენერატორი იქნება მუშა მდგომარეობაში და სრულად იქნება აღდგენილი მისი ფუნქციები.

5.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების განხორციელების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუადრეს 8 და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირველ, მე-3 და მე-4 მუხლებში მითითებულ კრიტერიუმებს.

6.1.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6.1. მუხლში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისი მომსახურების გაწევას შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა, შემსყიდველისაგან პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა უნდა გადაიხადოს.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების დაყოვნების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.3. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.4. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა.

6.5. არაჯეროვანი მომსახურების გაწევის შედეგად შემსყიდველისათვის, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.6. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.7. მიმწოდებლის მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

6.8. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.9. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის/მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებას შეწყვეტს/მომსახურების გაწევაზე უარს იტყვის ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გარემოებების საფუძველზე.
6.10. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება
7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
8.1. შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ მომსახურების კონტროლი.
8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
8.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისისხისა და ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;
8.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს, სრულად არის თუ არა გაწეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად გაწეული მომსახურების მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე;
8.3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
8.4. ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
9.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

12. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

12.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი **სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“** ს/კ 206237491 მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ/ფაქსი: 224-40-40 / 224-40-41 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE71TB7895736030100001 **დირექტორი ფინანსურ საკითხებში** ო. ოგბაძე	**მიმწოდებელი** **ფიზიკური პირი ოთარ გვრიტიშვილი** პ/ნ: 01005019575 მის: ქ.თბილისი, ბორჯომის ქ.№5. ტელ: 558774747 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE49TB4042036010100010 **ფიზიკური პირი** ო. გვრიტიშვილი

GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC

Digitally signed by GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC
Date: 2021.01.18 15:30:45 +04'00'